

ერეტიის წმიდა და დიდი კრება:

„ხალი ეკლესიოლოგია თუ გარდამოცემის ერთგულება?“

ეპისკოპოსი კირილოს კატერელისი

.შესავალი სიტყვა

მეხუთე მსოფლიო კრების ოქმებში ვკითხულობთ: „ეკლესიის მედი არ უნდა ემყარებოდეს ადამიანებს, მაშინაც კი თუ ისინი ეთილნი არიან, ხოლო თუ ისინი ბოროტნი არიან არ შეიძლება ჯავასკვნათ, რომ ეკლესია დაირღვა.“

სიუხედავად ამისა ჩვენ ვიღებთ მათ ბრალდებას, რადგან ჩვენი სმები არიან. და თუ დამტკიცდება რომ დამნაშავენი არიან, სევაჩვენებთ იმავე დღეს. ხოლო ეკლესიას, რომელიც ღმერთმა ღვთისა და გვიბოძა, არც ვყიდით და არც არასოდეს სივატოვებთ“.

იმოთ წარმოდგენილი განსაკუთრებული მნიშვნელობის სიტყვები, კართაგენის კრების (411) ოქმებში¹ მიეკუთვნებიან ნეტარ ავგუსტინეს. შემთხვევითი არ არის, რომ მოცემული ნაწყვეტი წაიკითხეს მეხუთე მსოფლიო კრებაზე², როდესაც ნაჭირო გახდა ემსჯელათ საკითხზე: შესაძლებელი იყო თუ არა კარდაცვილი ერეტიკოსების შეჩვენება.

ნიკოპოლის აწგანსვენებული მიტროპოლიტი მელეტიოსი³, რომელმაც გამოსცა მეხუთე მსოფლიო კრების ოქმები სენიშნავს: „წმიდა მამის ეს სიტყვები მიგვითითებენ, თუ როგორი უნდა იყოს საეკლესიო შეხედულება სქიზმის შესახებ. ავგუსტინეს ზემოთ მოყვანილი სიტყვები არა მხოლოდ გმობენ სველი კალენდრის მიმდევრების სქიზმატურ მიდრეკილებებს⁴, რამედ წარმოადგენენ პირველ-მორე კრების შესაბამისი ნაწილების განმარტების საფუძველს.“

იფრო ადრე, მეხუთე მსოფლიო კრებაზე ეპისკოპოს კეცილიანეს საკითხთან დაკავშირებით, წაიკითხეს ნეტარი ავგუსტინეს სხვა ნაწყვეტი⁵, რომელიც ეხება როგორც

ვეცილიანეს (რომლსაც რწმენისთვის არასდროს უღალატია) სვევე მათ რომლებიც მისი მიზნებით ჩამოშორდნენ ეკლესიას: თუ მართალი აღმოჩნდება მათი ბრალდებები ცეცილიანეს მიმართ, მას მაინც შევაჩვენებთ, მიუხედავად იმისა რომ კარდაცვლილია; ხოლო ქრისტეს ეკლესია, რომელიც შფოთვის ავანედ არასოდეს იქცევა, არამედ საღმრთო მითითებებს სიჰყვება, ადამიანის გამო არ უნდა დაგუტევოთ“.

უცილებელია მოვიხმოთ კიდევ ერთი ნაწყვეტი ნეტარი ავგუსტინეს ნაშრომიდან⁶, რომელიც ასევე აუცილებლად მათვალეს წაეკითხათ მეხუთე მსოფლიო კრებაზე⁷. ამ ნაწყვეტში ნეტარი მამა მიუთითებს: „მე ვიმყოფები ეკლესიაში, რომლის წევრებიც არიან ის ეკლესიები რომელთა შესახებაც იცით, რომ იშვნენ მოციქულთა გარჯის წყალობით... და უფლის იანამოღვაწე, არასოდეს შევწყვეტ კავშირს მათთან, არც ფრიკაში და არც სადმე სხვაგან. თუ ამ კავშირში ზოგიერთი სოღალატეა (რომელთაც ახლა არ ვიცნობ), როდესაც მათ ვინაობას გამიმხელ, მე მათ დავწყევლი, არამხოლოდ ბაგეებით, რამედ გულითაც. ზოგიერთი „მკვდრის“ გამო არასოდეს არ განვეშორები „ცოცხლებს“, რომლებიც იმყოფებიან წმიდა ეკლესიის ერთობაში“.

მათელია, რომ ნეტარი ავგუსტინეს ეს სიტყვები, რომელთაც დასტურებს და ამკიცებს მეხუთე მსოფლიო კრება, ზოგიერთისთვის დღეს არაფერს ნიშნავს. მათ ჰგონიათ, რომ ეფლება აქვთ არაფრად ჩააგდონ სინოდალური, საეკლესიო სეგნება და ავთენტურობა, როგორც ეს გამოიხატა კრეტის წმიდა და დიდ კრებაზე, გასული წლის ივნისში. მათ ვინც ხელი სოაწერეს სინოდის გადაწყვეტილებებს ერეტიკოსებად და სართლმადიდებლური რწმენის მოღალატეებად მიიჩნევენ. უმედევოდ მოუწოდებენ სხვებსაც იგივე მოიმოქმედონ. კოცებულნი ვრჩებით როდესაც ვხედავთ, რომ საბერძნეთის აზღვრებს შიგნით თუ გარეთ არსებოს ამდენი თვითმარქვია ეოგმატოლოგი, ეკლესიოლოგი, კანონოლოგი, ისტორიკოსი, სღვდელი, ერისკაცი, ბერი, რომელთაშიც ხშირად ვხედავთ არა სხოლოდ იმას, რომ არ გააჩნიათ არსებითი თეოლოგიური განათლება (ისე რომ არცაა საჭირო მათ აზრს ყურადღება

სიექცეს), არამედ მათ აკლიათ სულიერი თავშეკავებაც. ვერ ხერხებენ დაგაფიქრონ შენი შეხედულებების მართებულებაზე და დაგეხმარონ სულიერად გაძლიერდე. როდესაც ამ ორიდან ერთ-ერთს ან ორივეს (ნაკლოვანებებს) თან ახლავს ჭკუის სიმცირე, მაშინ რთულად სამკურნალო შემთხვევასთან გვაქვს საქმე. როდესაც ვხედავთ თვითშემეცნების და ქრისტიანული იავმდაბლობის სიმცირეს, გვახსენდება პერიკლეს სიტყვები იუკიდიდეს საფლავის ქვაზე: „უცოდინარობა-თავხედობას, აოლო აზროვნება, სიბრძნეს შობს“, ან უფრო ცნობილი და ამ შემთხვევისთვის შესაფერისი ადგილი“ „ღმერთს, ვისი იკვდილიც სურს მას აგიჟებს“⁸. შესაძლოა ყველაზე შესაფერისია სოციქული პავლეს სიტყვები: „...იტყოდეს თავთა თჳსთა ბრძენ და განცოფნეს“ (რომ. 1,22). ბიბლიური სიტყვების ღირსების დაკინიება თეოლოგიური განათლების ქონის შემთხვევაში როგორც წესი არ ხდება, მაგრამ ხშირად ჭარბობს ქედმაღლობა.

ერეტიკის წმიდა და დიდი კრების მონაწილე ეპისკოპოსები სართლაც ერეტიკოსები არიან? კონსტანტინოპოლის სართლომეოსი, ალექსანდრიის თეოდორე, ათენის იერონიმე, ჯირანის ანასტასიოსი, დანარჩენი პირველიერარქები, სართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს და ხელი მოაწერეს დოკუმენტებს, განსაკუთრებით იმ დიკუმენტს რომელიც ეხება სართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობას დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან, მწვალებლები არიან? როგორ ხდება რომ კრიტიკისაგან თავის არიდებას ახერხებენ ეს ეკლესიები რომელთაც ხელი მოწერილი აქვთ იმავე დოკუმენტებზე, რომლებიც მომზადდნენ წინა სინოდალურ სათბრიზე და მიუხედავად იმისა, რომ შედარებით ცუდ ვერსიას სართლომადიდებელნი, ეს ეკლესიები კრების გამართვას დაეთანხმნენ, როგორც ეს მოხდა მაგ. მოსკოვის საპატრიარქოს შემთხვევაში 2016 წლის იანვარში. ხოლო იმ ეკლესიების (მაგ. ბუტოქიის), რომლებიც ასევე თანხმობას აცხადებდნენ კრების გამართვაზე, ურთიერთობები ჰტეროდოქსებთან⁹ სცდებიან იმ აზღვრებს რომელთაც ადგენს კრების კრება.

სიძიმე და იმავდროულად უსამართლო ბრალდებაა: კრების

დადაწვეტილება ეწინააღმდეგება მართლმადიდებელი ეკლესიის ეკლესიოლოგიას და აღიარებს ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის გარდა სხვა ეკლესიების არსებობას. კრების დოკუმენტები არ საუბრობენ ერეტიკოსებზე რამედ ეხებიან ჰეტეროდოქსებს. ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის გარდა სხვა ეკლესიების აღიარება, კნინებს ჭეშმარიტებას და ეკუმენიზმის მეშვეობით მიდის პან-რელიგიამდე¹⁰. ისმის კითხვა, წმიდა და დიდი კრების დოკუმენტები უკავშირდებიან ბაპტიზმატურ თეოლოგიას (βαπτισματική Θεολογία), განშტოებების თეორიას (θεωρία των κλάδων) და შეერთების ეკუმენიზმს (Οικουμενισμός της ενσωμάτωσης)?

შინდა გრიგოლ პალამას საღვთსმეტყველო ცენტრისთვის პეციალურად თარგმნა ნიკო დონლაძემ

Notes

[← 1]

Actes de la Conference de Cartage, (Serge Lancel), SC 224 (1975) 1132-1134.
Mansi IV, 220CD.

[← 2]

Μητρ. Νικοπόλεως Μελέτιος, Ἡ πέμπτη Οἰκουμένη Σύνοδος, Ἀθῆναι 1985, 345.

[← 3]

Μητρ. Νικοπόλεως Μελέτιος, ὄπ, παρ., 345, ὑποσ. 60.

[← 4]

იგულისხმებიან ბერძენი სქიზმატიკოსები.

[← 5]

Μητρ. Μελέτιος, ὄπ. παρ., 344. Mansi 9, 577 DE.

[← 6]

C. S. E. L 52, 446-450.

[← 7]

Μητρ. Μελέτιος, ὄπ. παρ., 346.

[← 8]

ძველი ბერძნული ანდაზა.

[← 9]

სხვაგვარად მადიდებელი.

[← 10]

Ἡ Σύνοδος τῆς Κρήτης: Ἁγία καὶ Μεγάλη Σύνοδος, Ἐπισημάνσεις καὶ Σχολιασμοὶ ἐν Συνειδήσει καὶ Ἀληθείᾳ, Ἔκδοση Συνάξεως Ὁρθοδόξων Ρωμηῶν «Φώτης Κόντογλου», Τρίκαλα (Σεπτέμβριος) 2016